დანართი II-A
წარმოშობის სპეციფიური წესები

ნაწილი A: შენიშვნები

1. მოცემული დანართით გათვალისწინებული მოთხოვნა სატარიფო კლასიფიკაციის ცვლილების შესახებ ითვალისწინებს, რომ ნებისმიერი წარმოშობის არმქონე მასალები გამოყენებული წარმოებაში განიცდის სატარიფო კლასიფიკაციის ცვლილებას ერთ-ერთი ხელშემკვრელი მხარის ან ორივე მხარის ტერიტორიაზე წარმოების პროცედურების შედეგად.

2. მოცემული დანართის მიზნებისთვის, წარმოშობის სპეციფიურ წესებს ექნება შემდეგი მნიშვნელობა:

(a) "**CC**" ნიშნავს ცვლილებას ჯგუფის, პოზიციის ან სუბპოზიციის დონეზე ნებისმიერ სხვა ჯგუფთან მიმართებაში. აღნიშნული გულისხმობს, რომ ნებისმიერ წარმოშობის არმქონე მასალები განიცდიან ცვლილებას ჰარმონიზებული სისტემის სატარიფო კლასიფიკაციის ორ ნიშნა დონეზე (ჯგუფის ცვლილება).

(b) "**CTH**" ნიშნავს ცვლილებას ჯგუფის, პოზიციის ან სუბპოზიციის დონეზე ნებისმიერ სხვა პოზიციასთან მიმართებაში. აღნიშული გულისხმობს, რომ წარმოშობის არ მქონე მასალები განიცდიან ცვლილებას ჰარმონიზებული სისტემის სატარიფო კლასიფიკაციის ოთხ ნიშნა დონეზე (პოზიციის ცვლილება);

(c) "**RVC%**" ნიშნავს რეგიონული ღირებულების მინიმალურ მოთხოვნას შეთანხმების თავი III (წარმოშობის წესები) მუხლი 3.4 (რეგიონული ღირებულების კრიტერიუმი) პირობების თანახმად; და

(d) "**WO**" ნიშნავს, რომ პროდუქცია ქვეყანაში მთლიანად მოპოვებულია მოცემული შეთანხმების თავი III (წარმოშობის წესები) მუხლი 3.3 (ქვეყანაში მთლიანად მიღებული ან წარმოებული საქონელი) პირობების თანახმად

3. იმ პროდუქციისთვის, რომელიც კლასიფიცირებულია, როგორც ჯართი და ნარჩენები, და რომლის დასახელება არ არის აღწერილი წარმოშობის სპეციფიური წესები განისაზღვრება როგორც WO

4. მოცემული დანართი შედგენილია ჰარმონიზებული სისტემის განახლებული 2017 წლის რედაქციის შესაბამისად.

ნაწილი B: წარმოშობის სპეციფიური წესები

HS კოდი	პროდუქციის აღწერა	წარმოშობის სპეციფიური წესები
01	ცოცხალი ცხოველები	WO
02	ხორცი და ხორცის საკვები სუბპროდუქტები	WO
03	თევზი და კიბოსნაირნი, მოლუსკები და წყლის სხვა უხერხემლოები	CC
04	რძის პროდუქცია; ფრინველის კვერცხი; ნატურალური თაფლი; ცხოველური წარმოშობის კვების პროდუქტები, სხვა ადგილას დაუსახელებელი ან ჩაურთველი	WO
05	ცხოველური წარმოშობის პროდუქტები, სხვა ადგილას დაუსახელებელი ან ჩაურთველი	CC
07	ბოსტნეული და საკვებად ვარგისი ზოგიერთი ძირნაყოფები და ბოლქვნაყოფები	CC
08	საკვებად ვარგისი ხილი და კაკალი; ციტრუსების კანი ან ნესვის ქერქი	CC
09	ყავა, ჩაი, მატე (პარაგვაის ჩაი) და სანელებლები	
09.01	ყავა, მოხალული ან მოუხალავი, კოფეინით ან კოფეინის გარეშე; ყავის ჩენჩო და ყავის მარცვლის გარსი; ყავის შემცვლელები, რომლებიც შეიცავენ ყავას ნებისმიერი პროპორციით:	
	– ყავა მოუხალავი:	
0901.11	— — კოფეინით	CC
0901.12	— — კოფეინის გარეშე	CC
	– ყავა მოხალული:	
0901.21	— — კოფეინით	RVC60% და ნაწარმოები ყავის მარცვლისგან მათ შორის მოხალული
0901.22	— — კოფეინის გარეშე	RVC60% და ნაწარმოები ყავის მარცვლისგან მათ შორის მოხალული

HS კოდი	პროდუქციის აღწერა	წარმოშობის სპეციფიური წესები
0901.90	– დანარჩენი:	RVC60% და ნაწარმოები ყავის მარცვლისგან მათ შორის მოხალული
09.02	ჩაი საგემოვნო-არომატული დანამატებით ან მათ გარეშე:	CC
09.03	მატე	CC
09.04	წიწაკა Piper გვარისა; Capsicum გვარისა ან Pimrnta გვარის ნაყოფები, ხმელი, დამსხვრეული ან დაფქული:	CC
09.05	ვანილი:	CC
09.06	დარიჩინი და დარიჩინის ხის ყვავილები:	CC
09.07	მიხაკი (მთელი ნაყოფები, ყვავილები და ყვავილის ყუნწები):	CC
09.08	ჯავზი, მაცისი და ილი:	CC
09.09	თესლი ანისულის, იფნურას, ცერეცოს, ქინძის, კამის, ზირას რომაული კვლიავი, ან ვოლოშის კვლიავის ან ზირასი; ღვიის კენკრა:	CC
09.10	კოჭა, ზაფრანა, ტურმერიკი (კურკუმა), ურცი, ან ბეგქონდარა, დაფნის ფოთოლი, კარი და დანარჩენი სუნელ-სანელებლები:	CC
10	მარცვლოვანები	WO
11	ფქვილ-ბურღულეული მრეწველობის პროდუქცია; ალაო; სახამებელი; ინულინი; ხორბლის წებოვანა	WO
12	ზეთოვანი მცენარეების თესლები და ნაყოფები; დანარჩენი თესლები, ნაყოფები და მარცვალი; სამკურნალო მცენარეები და მცენარეები ტექნიკური მიზნებისათვის; ჩალა და ფურაჟი	CC

HS კოდი	პროდუქციის აღწერა	წარმოშობის სპეციფიური წესები
13	შელაქი ბუნებრივი გაუსუფთავებელი; გუმფისები, ფისები და სხვა მცენარეული წვენები და ექსტრაქტები	CC
14	მცენარეული მასალები წნული ნაკეთობების დასამზადებლად; მცენარეული წარმოშობის დანარჩენი პროდუქტები, სხვა ადგილას დაუსახელებელი ან ჩაურთველი	CC
15	ცხოველური ან მცენარეული წარმოშობის ცხიმები და ზეთები და მათი გახლეჩის პროდუქტები; მზა საკვები ცხიმები; ცხოველური ან მცენარეული წარმოშობის ცვილები	WO
16	მზა საკვები პროდუქტები ხორცის, თევზისა ან კიბოსნაირების, მოლუსკებისა ან წყლის სხვა უხერხემლოებისაგან	CC
17	შაქარი და შაქრის საკონდიტრო ნაწარმი	
17.01	ლერწმისა ან ჭარხლის შაქარი და ქიმიურად სუფთა საქაროზა, მყარ მდგომარეობაში:	WO
17.02	დანარჩენი შაქარი, ქიმიურად სუფთა ლაქტოზას, მალტოზას, გლუკოზასა და ფრუქტოზას ჩათვლით, მყარ მდგომარეობაში; შაქრის სიროფები საგემოვნო-არომატული ან საღებარი ნივთიერების დამატების გარეშე; ხელოვნური თაფლი, ნატურალურ თაფლთან შერეული ან შეურეველი; კარამელის კულერი:	WO
17.03	მელასა, შაქრის ამორებით ან რაფინირების შედეგად მიღებული:	WO

HS კოდი	პროდუქციის აღწერა	წარმოშობის სპეციფიური წესები
17.04	შაქრის საკონდიტრო ნაწარმი (თეთრი შოკოლადის ჩათვლით), რომლებიც არ შეიცავენ კაკაოს:	CTH და RVC 60%
18	კაკაო და პროდუქტები მისგან	
18.01	კაკაო-მარცვალი, მთელი ან დამსხვრეული, ნედლი ან მოხალული	WO
18.02	ჩენჩო, გარსი, კანი და კაკაოს სხვა ნარჩენები	CC
18.03	კაკაო-პასტა, ცხიმგაცლილი ან ცხიმგაუცლელი:	CC
18.04	კაკაო-ზეთი, კაკაო-ცხიმი	CC
18.05	კაკაო-ფხვნილი შაქრისა ან სხვა დამატკბობელი ნივთიერებების დამატების გარეშე	CC
18.06	შოკოლადი და კაკაოს შემცველი დანარჩენი მზა კვების პროდუქტები:	CTH და RVC 60%
19	მზა პროდუქტები მარცვლოვანების მარცვლის, ფქვილის, სახამებლისა ან რძისაგან; ცომეული საკონდიტრო ნაწარმი	

HS კოდი	პროდუქციის აღწერა	წარმოშობის სპეციფიური წესები
19.01	ალაოს ექსტრაქტი; მზა კვების პროდუქტები წმინდა ან მსხვილი ნაფქვავი ფქვილის, ბურღულის, სახამებლისა ან ალაოს ექსტრაქტისაგან, კაკაოს შემცველობის გარეშე ან კაკაოს შემცველობით 40 მას.%-ზე ნაკლები მთლიანად ცხიმგამოცლილ ფუძეზე გადაანგარიშებით, სხვა ადგილას დაუსახელებელი ან ჩაურთველი; მზა კვების პროდუქტები 0401–0404 სასაქონლო პოზიციების ნედლეულისაგან, 5 მას.%-ზე ნაკლები კაკაოს შემცველი ან მის გარეშე მთლიანად ცხიმგაცლილ ფუძეზე გადაანგარიშებით, სხვა ადგილას დაუსახელებელი ან ჩაურთველი:	CC გარდა 4-ე ჯგუფისა
19.02	მაკარონის ნაწარმი, თბურად დამუშავებული ან დაუმუშავებელი, გულსართით (ხორცისა ან სხვა პროდუქტებისაგან) ან უსატენოდ, ან სხვა ხერხით დამზადებული, ისეთების, როგორიცაა სპაგეტი, მაკარონი, ვერმიშელი, ატრია, ნამგალა, ცომის გუფთა, რავიოლი, კანელონი; კუსკუსი, საკვებად მზა ან მოუმზადებელი:	CC გარდა 11-ე ჯგუფისა
19.03	ტაპიოკა და მისი შემცვლელები, მომზადებული სახამებლისაგან, ფანტელების, გრანულების, ბურთულაკების, ნამცეცებისა ან სხვა ანალოგიური ფორმის სახით	CC გარდა 11-ე ჯგუფისა

HS კოდი	პროდუქციის აღწერა	წარმოშობის სპეციფიური წესები
19.04	მზა კვების პროდუქტები, მიღებული მარცვლოვანების მარცვლისა ან მარცვლეული პროდუქტების გაფუებით ან მოხალვით (მაგ. სიმინდის ფანტელები); პურეული მარცვლოვანები (სიმინდის მარცვლის გარდა) მარცვლისა ან ფანტელების სახით ან სხვა ხერხით დამუშავებული (წმინდა და უხეში ნაფქვავი ფქვილის, ბურღულის გარდა), წინასწარ მოხარშული ან სხვა ხერხით მომზადებული, სხვა ადგილას დაუსახელებელი და ჩაურთველი:	CC გარდა 11-ე ჯგუფისა
19.05	პური, ცომეული საკონდიტრო ნაწარმი, ტკბილღვეზელა, ნამცხვარი და სხვა პურფუნთუშეული და ცომეული საკონდიტრო ნაწარმი, კაკაოს შემცველი ან მის გარეშე; ვაფლის ფირფიტები, ცარიელი კაფსულები, ფარმაცევტული მიზნებისათვის ვარგისი, ვაფლის ობლატები დაბეჭდვისათვის, ბრინჯის ქაღალდი და ანალოგიური პროდუქტები:	CC გარდა 11-ე ჯგუფისა
20	ბოსტნეულის, ხილის, კაკლისა ან მცენარეთა სხვა ნაწილების გადამუშავების პროდუქტები	CC
21	კვების სხვადასხვა პროდუქტები	CC
22	ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელები და ძმარი	
2201	წყლები, ნატურალური ან ხელოვნური მინერალური წყლების ჩათვლით, გაზიანი, შაქრისა ან სხვა დამატკბობელი ან საგემოვნო-არომატული ნივთიერებების დამატების გარეშე; ყინული და თოვლი:	WO

HS კოდი	პროდუქციის აღწერა	წარმოშობის სპეციფიური წესები
2202	წყლები, მინერალურისა და გაზიანის ჩათვლით, შაქრისა ან სხვა დამატკბობელი ან საგემოვნო-არომატული ნივთრებების დანამატების შემცველობით, და სხვა უალკოჰოლო სასმელები, 2009 სასაქონლო პოზიციის ხილისა და ბოსტნეულის წვენების გარდა:	CC
2203	ალაოს ლუდი:	CC
2204	ღვინოები ყურძნის ნატურალური, შემაგრებული ღვინოების ჩათვლით; ყურძნის ტკბილი, 2009 სასაქონლო პოზიციაში მითითებულის გარდა:	WO
2205	ვერმუტები და ყურძნის სხვა ნატურალური ღვინოები, მცენარეული ან არომატული ექსტრაქტების დამატებით:	WO
2206	სხვა დადუღებული სასმელები (მაგალითად სიდრი, პერი(მსხლის სიდრი), თაფლის სასმელი); ნარევები დადუღებული სასმელებისაგან და დადუღებული სასმელებისა და უალკოჰოლო სასმელების ნარევები, სხვა ადგილას დაუსახელებელი ან ჩაუთვლელი:	WO
2207	ეთილის სპირტი არადენატურირებული, სპირტის კონცენტრაციით 80 მოც.% ან მეტი; ეთილის სპირტი და სხვა დენატურირებული სპირტები ნებისმიერი კონცენტრაცით:	WO

HS კოდი	პროდუქციის აღწერა	წარმოშობის სპეციფიური წესები
2208	ეთილის სპირტი არადენატურირებული სპირტის კონცენტრაციით 80 მოც.%-ზე ნაკლები; სპირტიანი ნაყენები, ლიქიორები და სხვა სპირტიანი სასმელები:	RVC 60% იმ პირობით, რომ ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე განხორციელდა შემდეგი პროცესები: კუპაჟირება, ფილტრაცია და სხვა შემდგომი ოპერაციები.
2209	ძმარი და მისი შემცვლელები, მიღებული ძმარმჟავასაგან:	WO
23	კვების მრეწველობის ნაშთები და ნარჩენები; მზა საკვები ცხოველებისთვის	WO
24	თამბაქო და თამბაქოს სამრეწველო შემცვლელები	CC
4001	ნატურალური კაუჩუკი, ბალატა, გუტაპერჩი, გვაიულა, ჩიკლი და ანალოგიური ბუნებრივი ფისები, პირველადი ფორმით ან ფირფიტების, ფურცლების, ზოლებისა ან ლენტების სახით.	CC
5201	ბამბის ბოჭკო, კარდ- ან სავარცხნ-გაუჩეჩავი.	WO
5202	ბამბის ბოჭკოს ნარჩენები (დართვის ნარჩენებისა და გაწეწილი ნედლეულის ჩათვლით).	WO
5203	ბამბის ბოჭკო, კარდ- ან სავარცნ-ნაჩეჩი.	WO